XIV დანართის დამატება 5

მუხლში 6.4 მოხსენიებული

შვეიცარიის დათქმები

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| **სექტორი:** | ყველა სექტორი |
| **ქვესექტორი:** | - |
| **იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:** | ფედერალური აქტი, 30 მარტი 1911 წელი (ვალდებულებების კოდექსი), ავსებს შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსს (ფედერალური კანონებისა და დებულებების სისტემატური კრებული, RS 220). |
| **ღონისძიების მოკლე აღწერა:** | „კორპორაციის" (*société anonyme/ Aktiengesellschaft*), „შეუზღუდავი პასუხიმგებლობის პარტნიორების მქონე კორპორაციის" (*société en commandite par actions/ Kommanditaktiengesellschaft*), „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების" (*société à responsabilité limitée/Gesellschaft mit beschränkter Haftung*) და „კოოპერატივის" (*société cooperative/ Genossenschaft*) შემთხვევაში, იურიდიული პირის მმართველი ორგანოს მინიმუმ ერთი წევრი ან იურიდიული პირის წარმოადგენლობაზე უფლებამოსილი სხვა პირი, უნდა იყოს მუდმივად მცხოვრები შვეიცარიაში.<br><br>უცხო ქვეყნის იურიდიულმა პირმა შეიძლება დაარსოს ერთი ან რამდენიმე ფილიალი შვეიცარიაში. ფილიალის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი მინიმუმ ერთი პირი მაინც უნდა იყოს მუდმივად მცხოვრები შვეიცარიაში. |
| **ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:** | სასამართლო წარმოების ხელშეწყობა. |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| **სექტორი:** | ყველა სექტორი |

| | |
|---|---|
| ქვესექტორი: | - |
| იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:: | 1983 წლის 16 დეკემბრის ფედერალური აქტი საზღვარგარეთ მყოფი პირების მიერ უძრავი ქონების შეძენის შესახებ (RS 211.412.41). |
| ღონისძიების მოკლე აღწერა: | საზღვარგარეთ მყოფი პირების მიერ უძრავი ქონების შეძენა ექვემდებარება შესაბამისი კანტონის უფლებამოსილი ორგანოს მიერ ნებართვის გაცემას. სამეწარმეო საქმიანობის მუდმივი ადგილისთვის, ან ძირითადი საცხოვრებელი ადგილისათვის ნებართვის გაცემა ხდება მიზნის გადამოწმების შემდეგ. |
| ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია: | არსებული მიწის სიმწირე |

შვეიცარია

| | |
|---|---|
| სექტორი: | ენერგია |
| ქვესექტორი: | ნავთობის ძიება და მოპოვება |
| იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი: | 1955 წლის 24 სექტემბრის კონკორდატი ნავთობის ძიებისა და მოპოვების შესახებ. |
| ღონისძიების მოკლე აღწერა: | კანტონებს შორის დადებული შეთანხმება (10 კანტონს შორის) ითვალისწინებს, რომ ნავთობის მოპოვებასთან დაკავშირებული კონცესიები შეიძლება გაიცეს მხოლოდ იმ კომპანიებზე, რომელთა წილის მინიმუმ 75 პროცენტი შვეიცარიის მფლობელობაშია. სხვა კანტონები აწესებენ ანალოგიურ შეზღუდვებს. |
| ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია: | ენერგეტიკულ პოლიტიკასთან და ეროვნული უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოსაზრებები. |

შვეიცარია

| | |
|---|---|
| სექტორი: | ენერგია |
| ქვესექტორი: | ბირთვული ენერგია |
| იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე | ბირთვული ენერგიის შესახებ ფედერალური აქტი, 21 მარტი 2003 წელი, (RS 732.1). |

| | |
|---|---|
| **უფლებამოსილი პირი:** | |
| **ღონისძიების მოკლე აღწერა:** | კონცესია ბირთვული ობიექტების მშენებლობაზე და ექსპლუატაციაზე ვრცელდება მხოლოდ კორპორაციაზე, კოოპერატივზე ან საჯარო სამართლის იურიდიული პირზე. უცხოური კომპანიას უნდა გააჩნდეს შვეიცარიაში რეგისტრირებული შვილობილი კომპანია. საერთაშორისო ვალდებულებების მოთხოვნების დარღვევის გარეშე, ფედერალურ საბჭოს შეუძლია უარი განაცხადოს უცხოური კომპანიისათვის კონცესიის მინიჭებაზე, თუ ამ კომპანიის სახელმწიფო არ უშვებს ნაცვალგებას. |
| **ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:** | ენერგეტიკულ პოლიტიკასთან და ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოსაზრებები. |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| **სექტორი:** | ენერგია |
| **ქვესექტორი:** | ჰიდროელექტროენერგია |
| **იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:** | ჰიდროელექტროენერგიის გამოყენების შესახებ ფედერალური აქტი, 22 დეკემბერი 1916 წელი, (RS 721.80). |
| **ღონისძიების მოკლე აღწერა:** | კონცესიების მინიჭებისას, კანტონები ითვალისწინებენ საზოგადოებრივ ინტერესებს (კერძოდ, მათ შეიძლება მოსთხოვონ კონცესიის მფლობელს, რომ მას ჰქონდეს რეგისტრირებული ოფისი შესაბამის კანტონში). |
| **ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:** | ენერგეტიკულ პოლიტიკასთან და ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოსაზრებები. |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| **სექტორი:** | ენერგია |
| **ქვესექტორი:** | მილსადენები |
| **იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:** | თხევადი ან აირადი საწვავისათვის მილსადენების შესახებ ფედერალური აქტი, 4 ოქტომბერი 1963 წელი, (RS 746.1). |

| | |
|---|---|
| **ღონისძიების მოკლე აღწერა:** | უცხო სახელმწიფოს მფლობელობაში ან კონტროლის ქვეშ მყოფ კომპანიებს მოეთხოვებათ, რომ შვეიცარიაში ჰქონდეთ რეგისტრირებული ოფისი და ჰყავდეთ მენეჯმენტის წარმომადგენლობა. |
| **ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:** | ენერგეტიკულ პოლიტიკასთან და ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოსაზრებები. |